26/02/2025

MES 5 25 0000205916

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13.02.2025
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 15:50 სთ
სხდომის თავმჯდომარე: თამარ ლომინაძე
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა საბჭოს მუშაობის პროცესში დისტანციური ფორმით მონაწილეობის მიღებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **თამარ ლომინაძე** - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **დავით ტეფნაძე** - შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
3. **ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
4. **თამარ ტუფინაშვილი** – შპს „ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის" აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
5. **დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;

6. **გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე**;
7. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
8. **ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **დიანა მჭედლიშვილი** – შპს „კავკასიის უივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
10. **ქეთევან ნანობაშვილი** – შპს შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის” ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი.
11. **აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
12. **ხათუნა თოდაძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
13. **ვასილ კიკუტაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;
14. **ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

1. **მარიამ ბერიძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
2. **ანა ჯავახიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტი:

- გიორგი ხუროძე - პრეზიდენტი;
- ხათუნა საგანელიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო შარაშენიძე - მედიცინის სკოლის დეკანი;
- ლანა ბოკუჩავა - მედიცინის სკოლის ვიცე-დეკანი;
- ავთანდილ გაგნიძე - ვიცე-პრეზიდენტი;
- დავით ბურჯანაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ლია ხარებავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
- ლელა ვანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- ინგა აბრამიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მირიან ებანოიძე - „ფილოსოფიის“ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

- მანანა ბანძელაძე - ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

- თამარ ცაგარელი - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ნინო ჭიჭინაძე - პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესორი;
- ნინო მატარაძე - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
- ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- მაკა ლაშხია - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- თამარ გეთიაშვილი - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი;
- ზვიად ზალიკიანი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:

- მიხეილ რუხაია - პროგრამის ხელმძღვანელი;
- ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანი;
- თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აკრედიტაციის ექსპერტები

- დავით ჯიქია (I)
- თამარ გოდერიძე (I)
- თამარ გვიანიშვილი (I)
- შოთა სილაგაძე (I)
- გიორგი თავაძე (II-III)
- თამთა თურმანიძე (IV-V)
- მაქსიმ იავიჩი (VI)

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ **თამარ ლომინაძემ.**
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ხელოვნებათმცოდნეობის” (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- კი

ცენტრის თანამშრომელმა, ქეთევან ინანაშვილმა შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგზე დამატებით საბჭოს განეხილა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის და სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “ხელოვნებათმცოდნეობის” (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის “გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

6. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 04 ნოემბრის №1425437 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
8. "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 16 დეკემბრის №1619284 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;
9. “სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 22 აგვისტოს №930184 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

პირველი საკითხი: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმური მონიტორინგის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: დიპლომირებული მედიკოსი;
საფეხური: ერთსაფეხურიანი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: მედიცინა 0912;
სწავლების ენა: ინგლისური;
კრედიტების რაოდენობა: 360;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, დავით ჯიქია, მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წლის აგვისტოში. აკრედიტაციის პროცესში საბჭოს მიერ გაიცა რეკომენდაციები და დაიგეგმა გეგმური მონიტორინგი, რომლის ვადა იყო 2024 წელი. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფმა 2024 წლის 26-27 ნოემბერს განახორციელა ვიზიტი უნივერსიტეტში და შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტები. ვიზიტი განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა შეხვედრები ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პერსონალთან, მოინახულა მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, რესურსები. ვიზიტის დროს გამოიკვეთა დამატებითი დოკუმენტების შესწავლის საჭიროება, რაც ინსტიტუციამ წარმოადგინა. ვიზიტის შედეგად მონიტორინგის ძირითადი მიზნის თაობაზე მათ განაცხადეს, რომ აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული 13 რეკომენდაცია სრულადაა შესრულებული, რისი დასტურიც წარმოდგენილია ექსპერტთა დასკვნაში, თუმცა ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა 1 რეკომენდაცია და რამდენიმე ტექნიკური ხასიათის რჩევა. რეკომენდაცია შეეხება სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერ სერვისებს: „რეკომენდებულია, დაწესებულებამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტები უზრუნველყოს სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტსა და კვლევაში მონაწილეობის უფრო მეტი შესაძლებლობით“. რჩევები ძირითადად შეეხებოდა "Cycle of life" 1, 2 და 3 სილაბუსებში შეფასების მეთოდების ჩაშლას, ასევე, მნიშვნელოვანი რჩევა იყო კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება, თუმცა ინსტიტუციაში ძირითადად საერთაშორისო სტუდენტები არიან და ინსტიტუცია ამას თავად მოაწესრიგებდა სამომავლოდ. დასკვნის სახით მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით ბურჯანაძემ მიესალმა და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფს. აღნიშნა, რომ ინსტიტუცია ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას და ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით დამატებითი პოზიცია არ გააჩნდა. მისი განმარტებით, დაწესებულებას აქვს დაწყებული მუშაობა იმ საკითხებზე, რომლებზეც ექსპერტმა, დავით ჯიქიამ, ისაუბრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრიმა, ხათუნა თოდაძემ, მიმართა დავით ჯიქიას კითხვით სილაბუსებთან დაკავშირებით გაცემულ რჩევებზე. მან განმარტა, რომ ერთ რჩევაში აღნიშნულია, რომ ექსპერტთა ჯგუფი ითხოვს შეფასების მეთოდების ჩაშლას, ხოლო მეორე რჩევაში კი, შემდეგი სახის ფორმულირებაა: „შეფასების მეთოდები არ არის სილაბუსში“. ხათუნა თოდაძის თქმით, სილაბუსში სწავლის მეთოდების რუკაში ჩამოთვლილია შეფასების მეთოდები. მას აინტერესებდა, ერთნაირი მეთოდებით შეფასებას გულისხმობდა თუ არა ორივე რჩევაში. დავით ჯიქიამ აღნიშნა, რომ პირველ რჩევაში ეს ჩაითვალა, როგორც ტექნიკური ხარვეზი. შესაბამისად, აქ შეფასების მეთოდის აღწერილობა არ იყო, რის გამოც მათ ეს რჩევის სახით გამოიტანეს, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, ხარვეზი გასწორდა ინსტიტუციის მხრიდან.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:30
დასრულების დრო: 14:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს აღმოსავლეთ-დასავლეთის სასწავლო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის გეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საკითხების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა დააყენეს შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხი ერთად განეხილათ. სხდომაზე დამსწრე ყველა პირმა განაცხადა თანხმობა.

მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფილოსოფია;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ფილოსოფიაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ფილოსოფია და ეთიკა - 0223;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

მესამე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ფილოსოფია;
საფეხური: მაგისტრატურა;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოსოფიის მაგისტრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: ფილოსოფია და ეთიკა - 0223;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 120;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

მეორე და მესამე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა საკუთარი პოზიცია.
აკრედიტაციის ექსპერტი, გიორგი თავაძე, მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების წარმომადგენლებს და აღნიშნა, რომ 2022 წლის ნოემბერში აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა შეაფასეს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამები, რა დროსაც გაიცა რეკომენდაციები და მონიტორინგის პერიოდი განისაზღვრა 1 წლით. მას შეისწავლა აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, 1 წლიანი ანგარიშის შესრულების ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაცია. გიორგი თავაძემ აღნიშნა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეასრულა და ის შენიშვნები, რაც დააფიქსირა დასკვნაში არის უფრო ტექნიკური ხასიათის. აკრედიტაციის ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი ეხებოდა წიგნადი ფონდის განახლებას ბიბლიოთეკაში.
ასევე განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამაზეც მსგავსი ტიპის რეკომენდაციები იყო გაცემული, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ლიტერატურის განახლებასა და ბიბლიოთეკის მომარაგებას წიგნებით. მისი თქმით, წინა შეფასების პერიოდში ბიბლიოთეკას შემენილი ჰქონდა წიგნების ნაწილი. გიორგი თავაძის განმარტებით, როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფიქსირებული შენიშვნები იყო ტექნიკური ხასიათის, რომელთა გამოსწორებაც განსაკუთრებულ რესურსს არ მოითხოვს. რეკომენდაციების ძირითადი ნაწილი შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
პროგრამის ხელმძღვანელი, მირიან ებანოიძე, მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ სააკრედიტაციო პერიოდში გაცემული რეკომენდაციები გაითვალისწინეს. მან განაცხადა, რომ თუ რაიმე კითხვა ექნებოდათ საბჭოს წევრებს, სიამოვნებით გასცემდა პასუხს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ციური დურულმა ექსპერტს მიმართა კითხვით, რომელიც შეეხებოდა ექსპერტის დასკვნაში მითითებულ შეუსრულებელ რეკომენდაციებს პროგრამის/სასწავლო კურსებში გაწერილი თემატიკის ნაწილს. კონკრეტულად, მას აინტერესებდა რეკომენდაციებში მითითებული თემატიკასთან მიმართებით განხორციელდა თუ არა ცვლილებები, თუ მხოლოდ სასწავლო ლიტერატურა შეიცვალა.
ექსპერტის, გიორგი თავაძის აზრით, თუ თემატიკა შეიცვლებოდა, ის არ გამოიწვევდა რაიმე სახის პრობლემას. საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კვლავ ჰკითხა ექსპერტს, თუ თემატიკასა და ლიტერატურას არ შეიცვლიდნენ, სწავლის შედეგებს ელოდა თუ არა რაიმე საფრთხე.
ექსპერტმა, გიორგი თავაძემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ შეცვლიდნენ და განაახლებდნენ თემატიკას, ასევე, თუ ასახავდნენ თანამედროვე ტენდენციებს.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გოჩა თუთბერიძემ, განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარი აღმოჩნდა ის, რომ ექსპერტის დასკვნა ორივე პროგრამასთან მიმართებით კრიტიკულია,

რომლებშიც აღნიშნულია, რომ რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა არ არის შესრულებული და ამ დროს, ექსპერტი ამბობს, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი, რაც გავლენას არ მოახდენს სწავლის შედეგებზე. მისი მოსაზრებით, ექსპერტის დასკვნაში უნდა ასახულიყო ყველაფერი. ექსპერტს უნდა წარმოედგინა არგუმენტები, რომელთა მეშვეობითაც დაამტკიცებდა, რომ ამ რეკომენდაციების შეუსრულებლობა გავლენას არ მოახდენდა სწავლის შედეგებზე. ამ შემთხვევაში გოჩა თუთბერიძე მიიჩნევს, რომ თვითონ ეს რეკომენდაციებია არასწორი. მისი აზრით, თუ ამ რეკომენდაციების შესრულებას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაშინ რატომ გაიცა ისინი. მაგრამ, რადგან საბჭომ დატოვა ეს რეკომენდაციები, ესე იგი, საბჭოს კონკრეტული საფუძველი ჰქონდა მათ დასატოვებლად. მას სურს, რომ ექსპერტმა გაარკვიოს აკრედიტაციის საბჭო, მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაეყრდნონ ისინი, თუ ზეპირ საუბარს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მირიან ებანოიძემ აღნიშნა, რომ მცირე ტექნიკურმა ხარვეზებმა გამოიწვია ბუნდოვანება. მისი განცხადებით, ექსპერტის შენიშვნები გამოსწორებულია, რეკომენდაციები შესრულებულია, რაც დადასტურებულია მათ ანგარიშში. მას ასევე აღბნიშნა, რომ სილაბუსების გარკვეული ნაწილი ტექნიკური მიზეზების გამო ვერ შეიცვალა, დანარჩენი საკითხები კი გამოსწორებულია. სილაბუსებში შესულია ცვლილებები. მან აღნიშნა, რომ შესრულებული შინაარსი პასუხობს იმ რეკომენდაციებს, რომლებიც გაცემული იყო. პროგრამის ხელმძღვანელის თქმით, ლიტერატურა არის განახლებული როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამაში.

ერთერთი რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდებული იყო, რომ საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებდეს უახლოეს მიღწევებს დარგში. ამის საპასუხოდ ის აღნიშნავს, რომ სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაცია, გადაიხედა კურსის შინაარსის ნაწილი, სილაბუსში ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებში დაემატა თავი არსი და მოვლენა, ქმნადობის ფენომენი ანტიკურობიდან დღემდე, ელიოზი, ქმნადობის ფილოსოფიური პრობლემატიკა; ასევე გარკვეული ლიტერატურა. სილაბუსში დაემატა პოსტმოდერნისტული პრობლემატიკა, ლიტერატურის ნაწილში შევიდა ბიბლია პოსტმოდერნისტული პერსპექტივიდან, რომელიც ილიას უნივერსიტეტის გამოცემაა. "ესთეტიკის" კურსის სილაბუსში დაემატა ადოენეს ესთეტიკური თეორია, მირიან ებანოიძის „კლასიკის მკვლევარი კლასიკურის ეპოქაში. შემდეგი რეკომენდაცია არის სასწავლო მასალის ახალი თარგმანებითა და ლიტერატურით განახლება. მათ ეს რეკომენდაცია გაითვალისწინეს: შეიტანეს სასწავლო მასალებში ცვლილებები, დაემატა ახალი თარგმანები, რაც სტუდენტის სწავლის ხარისხს გაამდიდრებს. შესაბამისად, ცვლილებები შეეხო აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებს და გადაიხედა შინაარსიც. მესამე რეკომენდაცია-იმისთვის, რომ სტუდენტმა ორიგინალური ტექსტების (იგულისხმება ქართული თარგმანების) განხილვა და კომპეტენტური მსჯელობა შეძლონ, ტექსტები, პირველწყაროები სავალდებულო ლიტერატურაში უნდა იყოს შეტანილი. ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების ნაწილობრივ ანალიზს მაინც. პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და შეიტანა ცვლილებები სასწავლო მასალებში: კლასიკური და არაკლასიკური ტექსტები ფილოსოფიის ისტორიიდან, სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები. ცვლილებები შეეხო სასწავლო კურსის სილაბუსებს და გადაიხედა კურსის შინაარსის ნაწილი. მეოთხე რეკომენდაცია გულიხმობდა - რელიგიათმცოდნეობა და ორატორული ხელოვნება გადაიტანონ არჩევით საგნებად, სოციალურ და პოლიტიკურ ფილოსოფიაში უფრო ფუნდამენტური ცოდნის მისაღებად არსებულ კურსებს დაემატოს საგანი - პოლიტიკური ფილოსოფია - ეს რეკომენდაციაც შესრულებული იყო. შემდეგი რეკომენდაცია - ორიგინალური ნაშრომების შეტანას უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ძირითად ლიტერატურაში - გაითვალისწინეს: შეიტანეს ორიგინალური ნაშრომები, ნათარგმნიც და არანათარგმნიც. ასევე განივრცოს და განახლდეს ძირითადი ლიტერატურის ჩამონათვალი შემდეგ სასწავლო კურსებში: აღმოსავლური ფილოსოფია, ქართული ფილოსოფიის ისტორია, შუა სააუკუნეების ფილოსოფია, რელიგიის ფილოსოფია, ახალი დროის ფილოსოფია, სოციალური ფილოსოფია,

პლატონიზმი, ცნობიერების ფილოსოფიური თეორია. პროგრამის ხელმძღვანელი აღნიშნავს, რომ განახლდა ლიტერატურის ჩამონათვალი აღნიშნულ კურსებში. აღმოსავლური ფილოსოფიაში-თემა დეკონსტრუქციაში გაწერილია სათანადო ლიტერატურა, მითითებულია ლიტერატურიდან თემა დეკონსტრუქციაზე-მონოგრაფია - დამხმარე სახელმძღვანელო, ეს არის თავი - ჰაიდეგერი და აღმოსავლური აზროვნება, მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი. შეტანილ იქნა ცვლილეები სასწავლო კურსში - შესავალი ფილოსოფიაში. ეს თემებია: მატერიალიზმი და იდეალიზმი, ობიექტური და სუბიექტური მატერიალიზმი, გულუბრყვილო მატერიალიზმი, სტიქიური მატერიალიზმი ჩანაცვლდა თანამედროვე კრიტიკასთან დაკავშირებული თემებით.
ერთ-ერთი რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: ფილოსოფიის სისტემურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები - სიცოცხლის ფილოსოფია ჩანაცვლდეს კურსის შესაბამისი თემით და თავად კურსი შესაბამისობაში მოვიდეს მეცნიერების ფილოსოფიის თანამედროვე ტენდენციებთან. მისი თქმით, შეიცვალა ეს სასწავლო კურსი და თემა სიცოცხლის ფილოსოფია ჩანაცვლდა კურსის შესაბამისი თემით. სასწავლო კურსში თემები - მანკიერებისა და გადმონაშთის ცნება, კლასობრივი და ზნეობრივი შეგნების ჩამოყალიბება, ზნეობის კლასობრიობის პრინციპის დასმისა და გადაწყვეტის ალტერნატივები - ჩანაცვლდა თანამედროვე ეთიკური ტენდენციების ამსახველი თემებით. გაზიარებული იქნა ეს რეკომენდაციაც და შეიცვალა. ასევე გაითვალისწინეს რეკომენდაციები და ცვლილებები შევიდა "ესთეტიკის" სასწავლო კურსში, კერძოდ, ამოღებულია თემები: ესთეტიკურის ძიება ანტიკურ ფილოსოფიაში, ქართული მითოლოგიური ესთეტიკის საკითხები, ქართული ნეოპლატონური ესთეტიკის საკითხები, სამყაროს სტრუქტურის ესთეტიკური პრინციპები ქართულ ნეოპლატონიზმში, რენესანსის ხანის მხატვრული აზროვნების საკითხები საქართველოში, რუსთაველის ესთეტიკური შეხედულებები.
ქართული თემატიკის რაოდენობა შემცირდა, დანარჩენი თემები კი დაეთმო აქტუალური პრობლემების განხილვას. როგორც პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, ექსპერტმა დაადასტურა და გაიზიარა ის, რომ მათ გაითვალისწინეს არსებული რეკომენდაციები და შეიტანეს ცვლილებები. მან ასევე გამოთქვა წუხილი, რომ ტექნიკური ხარვეზმა გამოიწვია არსებული გაუგებრობები.
ექსპერტმა გიორგი თავაძემ აღნიშნა, რომ მისი შენიშვნები ძირითადად ეხებოდა იმ ცვლილებებს, რომლებიც 2022 წელს აღნიშნეს. მისი აზრით, თუ დაწესებულება მიუთითებდა რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი, ეს აღარ წარმოადგენს პრობლემას. მისი შენიშვნები არის ძირითადად ტექნიკური ხასიათის. გოჩა თუთბერიძემ მიმართა ექასპერტს და აღნიშნა, რომ მისი ვალდებულება იყო ინსტიტუციის მიმართ გაცემული შენიშვნები გადაემოწმებინა და დაედასტურებინა, შესრულებულია თუ არა რეკომენდაციები. მან დასვა დამაზუსტებელი კითხვა, როდესაც ექსპერტმა შეისწავლა მასალები, იყო თუ არა შესრულებული რეკომენდაციები.
გიორგი თავაძემ განაცხადა, რომ იმ მომენტისთვის, როდესაც მას შეაფასა, გათვალისწინებული იყო რეკომენდაციები. იქ, სადაც მას ეწერა, რომ არ არის შესრულებული, ეს რეკომენდაციები კვლავ შესასრულებელია.
საგანმანათლებლო დაწესებულების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ ამ პროცესზე მონიტორინგს ახორციელებდა, მათ რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინეს და ანგარიშის აღწერილობით ნაწილში ის წარმოდგენილი ჰქონდათ, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი სილაბუსი, რომლებიც გადაეგზავნა ანგარიშის დროს ექსპერტს, იყო ძველი სილაბუსები. მას შემდეგ, რაც მათ ექსპერტმა მისწერა, რომ რეკომენდაციები სილაბუსებთან დაკავშირებით არ არის გათვალისწინებული, მათ კიდევ ერთხელ გადახედეს და დამატებით ლიტერატურაც შეიტანეს. მან თქვა, რომ ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვთ.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულ მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით ოქნდა შეკითხვა: აქ ექსპერტები გასცემენ რეკომენდაციას, რომ შემუშავდეს შეფასების უფრო მკაცრი მექანიზმი. ამასთან დაკავშირებით

ექსპერტს არ უწერია, დაიხვეწა თუ არა სამაგისტრო ნაშრომების შეფასების მექანიზმი, თუმცა გამოთქვამს რეკომენდაციას სამეცნიერო წერის სილაბუსთან დაკავშირებით, რომელშიც განხილულია მხოლოდ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და ექსპერტი გასცემს რეკომენდაციას ჰუმანიტარული მეცნიერებისთვის დამახასიათებელი აკადემიური მეთოდების შეტანასთან დაკავშირებით. მას აინტერესებდა, ექსპერტის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. მეხუთე რეკომენდაციაში, ჩამოთვლილია სამაგისტრო პროგრამის საგნები. ერთ ნაწილში განხორციელდა ცვლილებები, ხოლო მეორე ნაწილში - არა. მას აინტერესებდა, ტექნიკური ხარვეზი იყო თუ არა ეს. ექსპერტების მიერ გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „საკვალიფიკაციო ჩარჩოთი გათვალისწინებული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად გადაიხედოს სასწავლო კურსის „მეცნიერების ფილოსოფია“. მისი თქმით, ცვლილებები გახორციელებული არ არის და არასრულყოფილად არის განახლებული. ექსპერტმა გიორგი თავაძე მესამე რეკომენდაციის შესახებ აღნიშნავს, რომ, როდესაც ისინი იყვნენ ადგილზე, მათ ნახეს სამაგისტრო ნაშრომები, რომლებზეც იყო მათი კრიტიკული შენიშვნები ხარისხთან დაკავშირებით და ეს დაფიქსირდა. ამის საფუძველზე გაჩნდა ეს ჩანაწერი. როდესაც ის მონიტორინგს ატარებდა, მას არ ჰქონია სხვა სამაგისტრო ნაშრომები, რომ ენახა. შესაბამისად, ვერ მოხერხდა ამ ყველაფრის გათვალისწინება, ამიტომაც მას არ უწერია ამის შესახებ. რაც შეეხება სილაბუსს „მეცნიერების ფილოსოფია“, ექსპერტმა განაცხადა, რომ ისევ სილაბუსის ძველი ვერსია დახვდა, ამიტომაც არის მითითებული, რომ ნაწილობრივაა შესრულებული. მეხუთე რეკომენდაციაში ჩამოთვლილია 5-6 საგანი და იქაც ყველა ეხება სილაბუსს.

ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ, რაც გაიარეს ფილოსოფიის პროგრამის აკრედიტაცია, ჰყავთ ერთი სტუდენტი, რომელიც გადადის მეოთხე სემესტრში და ზაფხულში უნდა დაიცვას ნაშრომი. სწორედ ამიტომ ვერ წარმოადგინეს ნაშრომი. მირიან ებანოიძემ აღნიშნა, რომ შემდეგი საკითხია -„რეკომენდებულია, შემუშავდეს შეფასების უფრო მკაცრი მექანიზმი, რათა შემოწმდეს, რამდენად შეესაბამება ნაშრომები აკადემიური წერის სტანდარტებს. იმისთვის, რომ კურსდამთავრებულს შეეძლოს ორიგინალური ტექსტების (იგულისხმება მათი ქართული თარგმანები), განხილვა და მათზე კომპეტენტურად მსჯელობა, სავალდებულო მასალაში შეტანილი უნდა იყოს პირველწყაროები და სასემინარო მუშაობა უნდა გულისხმობდეს ამ წყაროების, სულ მცირე, ნაწილობრივ ანალიზს. ის აღნიშნავს, რომ მათ მიერ სამეცნიერო წერაში შეტანილია ცვლილებები, რაც ხელს შეუწყობს მაგისტრანტთა აკადემიური წერის უნარების განვითარებასა და მაღალი სტანდარტებით სამაგისტრო ნაშრომების დაწერას. ცვლილებები შევიდა სასწავლო მასალებში, კერძოდ, შეტანილია მეტი კლასიკური და არაკლასიკური ტექსტი ფილოსოფიის ისტორიიდან, სტატიები, კრებულები, მონოგრაფიები. შესაბამისად, ცვლილებები შეეხო აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებს, გადაიხედა კურსის შინაარსის ნაწილი. ის აღნიშნავს, რომ ექსპერტისათვის არ ჰქონდათ სრულყოფილად მასალები წარმოდგენილი, მაგრამ ანგარიშში რაც არის შეტანილი, დაწვრილებით არის ეს ცვლილებები აღწერილი. მისი აზრით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში საკმარისად წარმოაჩენს რეკომენდაციების შესრულებისა და პროგრამაში შეტანილი ცვლილებების შესახებ ინფორმაციას.

ციური დურულმა ექსპერტს დაუსვა კითხვა მეორე რეკომენდაციის შესახებ, სადაც ეწერა, რომ მითითებული ლიტერატურა არ იყო სამაგისტრო დონის. მას აინტერესებდა, რამდენად ეფექტურად მუშაობდა სასწავლო პროგრამა, როდესაც სასწავლო ლიტერატურა არის არა სამაგისტრო, არამედ საბაკალავრო დონის.

ექსპერტი გიორგი თავაძის თქმით, როდესაც ფილოსოფიის სამაგისტრო დონეზეა საუბარი, სტუდენტები, განხილვითი ლიტერატურის გარდა, ორიგინალურ ტექსტებსაც ინტენსიურად უნდა ეცნობოდენ. ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა სამი რეალობა: დაწესებულებაში ჩატარდა შეფასება, დაწესებულებამ შეიმუშავა დოკუმენტაცია,

შემუშავებული დოკუმენტაცია არ გაიგზავნა ექსპერტებთან. შესაძლებელია ანგარიში არ აისახა შესრულებული დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მან ჰკითხა ექსპერტს, სწორი იყო თუ არა მისი მსჯელობა.
ექსპერტმა გიორგი თავაძემ განაცხადა, რომ ეს არის მეტ-ნაკლებად ტექნიკური შეცდომა. რაც შეეხება იმას, თუ რომელი რეალობით უნდა იმსჯელონ საბჭოს წევრებმა, მან აღნიშნა, რომ მისი დასკვნა ასახავდა იმ მომენტს, რა მომენტშიც მას ჰქონდა დოკუმენტები.
მირიან ებანოიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შესრულებული რეკომენდაციებისა და პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შესახებ ყველაფერი დეტალურად არის ასახული მათ ანგარიშში. მან ასევე აღნიშნა, რომ სტრუქტურალიზმის სამაგისტრო პროგრამაში მრავლად არის ორიგინალი ტექსტები, მათ მიერ ნათარგმნი დელიოზის რიზომა, დერიდას, ფუკოსა და სხვა პოსტსტრუქტურალიზმის წარმომადგენლების ნაშრომები. ამის გათვალისწინებით ის არ ეთანხმებოდა ექსპერტს, რომ არ იყო ორიგინალური ლიტერატურა წარმოდგენილი. ამის დამადასტურებელი ინფორმაცია მათ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:07
დასრულების დრო: 15:15
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი ერთი წლის ვადაში რეკომენდაციების შესრულების შეფასების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} -ე მუხლის მე - 2 პუნქტის და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, საბჭომ შუამდგომლებით მიმართა ცენტრს ერთი წლის თავზე განახორციელოს მონიტორინგი აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხი ერთი წლის ვადაში რეკომენდაციების შესრულების შეფასების მიზნით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის საფუძველზე, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფილოსოფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, საბჭომ შუამდგომლებით მიმართა ცენტრს ერთი წლის თავზე განახორციელოს მონიტორინგი აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასების მიზნით.

საკითხების ერთგვაროვნებიდან გამომდინარე საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა დააყენეს შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული მეოთხე და მეხუთე საკითხი ერთად განეხილათ. სხდომაზე დამსწრე ყველა პირმა განაცხადა თანხმობა.

მეოთხე საკითხი: სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ხელოვნებათმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);
საფეხური: საბაკალავრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ისტორიის და თეორიის ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0213 სახვითი ხელოვნება;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

მეხუთე საკითხი: სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის(ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა);
საფეხური: საბაკალავრო;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0214 გამოყენებითი ხელოვნება/ხელნაკეთობა;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა დიმიტრი ჯაფარიძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად.

მეოთხე და მეხუთე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა საკუთარი პოზიცია.

ექსპერტი თამთა თურმანიძე მიესალმა ინსტიტუციის წარმომადგენლებს, საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ გასულ კვირას მან წარადგინა ილიას უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროგრამის, კერძოდ, გრაფიკის ხელოვნების ანგარიშის დასკვნა. სამმა პროგრამამ ერთად გაიარა აკრედიტაცია, რადგან კლასტერში შედიოდა. ექსპერტის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამებს შორის იყო გარკვეული დიფერენციაციები, რეკომენდაციები საერთო გაიცა. როგორც ექსპერტი აცხადებს, პირველი რეკომენდაცია შესრულებულია, რომელიც გულისხმობდა სტუდენტთა განვითერების ხელშეწყობის მიზნით დამატებითი ტექნიკის შესყიდვას. უნივერსიტეტს ჰქონდა გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი, უნივერსიტეტმა შეისყიდა 12 შესაბამისი სიმძლავრის კომპიუტერი. გარდა ამისა, განახლდა ლაბორატორიის აღჭურვა, შეიძინეს პროექტორი და მონიტორი და მოხდა არსებული კომპიუტერების მოდერნიზაცია. არსებული რეკომენდაცია იყო ის, რომ შექმნილიყო ლაბორატორია თანამედროვედ მოწყობილი ტექნიკით, სადაც სტუდენტები შეძლებდნენ სრულყოფილად გავლას გრაფიკის ხელოვნებისა და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებით, რომელიც ნამდვილად შესრულდა. მეორე რეკომენდაცია გულისხმობდა სტუდენტების მეტ ჩართვას საერთაშორისო პროექტებსა და სამეცნიერო აქტივობებში და ამ მხრივაც დადებითი შეფასება შეიძლება გაიცეს, განსაკუთრებით ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულებით, სადაც ERASMUS +-ის პროგრამის ფარგლებში გაემგზავრა 1 სტუდენტი ესტონეთში, ასევე ამ მიმართულების სტუდენტებს მიეცათ საშუალება, გაეანალიზებინათ გამოფენა, სადაც მონაწილეობდნენ არტისტები და ასევე, პროფესორ ხათუნა ხაბულიანის კურატორობით ისინი ჩაერთვნენ ნიუ-იორკში განათლებამიღებული მხატვრის შემოქმედების ანალიზში. რაც შეეხება გამოყენებით ხელოვნებას, ამავე რეკომენდაციის მიმართულებით სტუდენტები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო კონკურსში, რომელსაც ჰქვია „კანის ლომები“ და შესაბამისი დოკუმენტაციაც იყო წარმოდგენილი მტკიცებულებების სახით. ასევე, ხელოვნებათმცოდნეობის პროგრამას სხვა პროგრამებისაგან განსხვავებული რეკომენდაცია ჰქონდა, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ მათ გაეფორმებინათ შესაბამისი ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან და დოკუმენტაციაში იყო წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც გაფორმდა 2024 წლის ოქტომბერში აბრეშუუმის მუზეუმთან. შემდეგი რეკომენდაცია, რომელიც ორივე პროგრამისთვის იყო საერთო, ეხებოდა ქვესტანდარტს 3.1 სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა და გულისხმობდა სტუდენტების მეტ ჩართვას თვითშეფასების ანგარიშის მომზადების შეფასების პროცესში. თამთა თურმანიძე აღნიშნა ისიც, რომ ის თავადაც იმყოფებოდა, როგორც ექსპერტთა კომისიის წევრი, ინსტიტუციაში და იქ ისინი გაეცნენ ყოველსემესტრულ გამოკითხვებს, რომლებსაც ატარებს ილიას უნივერსიტეტი. ასევე ექსპერტი ამბობს, რომ მათ ჩაატარეს მრგვალი მაგიდა, სადაც შეჯამდა გამოკითხვის შედეგები და ფოკუს ჯგუფი, რომელიც იყო მოთხოვნილი მის მიერ და ის აღნიშნავს, რომ აქაც დადებითი ტენდენცია შეინიშნება. შემდეგი რეკომენდაცია იყო პროგრამების განხორციელების პროცესში ჩართული აკადემიური პერსონალის საერთაშორისო აქტივობის გაზრდა და სამეცნიერო კონფერენციებში მათი მეტი ჩართულობა. ის ამბობს, რომ ამ მხრივაც შთამბეჭდავია ორივე პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში. ეს არის სამეცნიერო კონფერენცია, რომლის მასალებიც გამოქვეყნებულია როგორც ელექტრონული, ისე დაბეჭდილი სახით. ასევე, მნიშვნელოვანია პროფესორ ნიკა ვაჩეიშვილის მონაწილეობა ERASMUS +-ის პროგრამაში. ასევე, ბერძენი არქეოლოგის მოწვევა, რომლის ლექციასაც დაესწრნენ სტუდენტები. ის ამბობს, რომ მის მიერ გადამოწმებულია ეს ინფორმაცია, რომელთა უმეტესობაც ატვირთულია უნივერსიტეტის საიტზე. 4.5 რეკომენდაცია, რომელზეც ინსტიტუციამ წარმოადგინა საკუთარი შეხედულება, გულისხმობს, რომ პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს პერსონალის განვითარების კვლევითი და მეთოდური მუშაობისათვის საჭირო ხარჯები. როგორც ის ამბობს, ინსტიტუციამ გააცნო მათ თავისი ხედვები და შეხედულებები ამ მიდგომებისადმი. კერძოდ ის, რომ მსგავსი ხარჯები რეალურად უკვე გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში თუ ფაკულტეტის ბიუჯეტში და არ იქნებოდა მიზნობრივი ხარჯი, რადგან ამ

პროგრამების განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი სხვა პროგრამების განხორციელებაშიც იღებდა მონაწილეობას. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ახალისებდა აკადემიური პერსონალის აქტივობას, იქნება ეს გამომცემლობითი საქმიანობა თუ კონფერენციებში მონაწილეობა. უნივერსიტეტში იყო ასევე სტუდენტური ცენტრი, რომელიც აფინანსებდა სტუდენტურ პროექტებს და ასევე, არსებობდა ტრენინგ ცენტრი, რომლის მთავარ ფუნქციასაც წარმოადგენდა უნარების განვითარება და ახალი ცოდნის მიცემა. როგორც თამთა თურმანიძემ განაცხადა, მის მიერ გამოთხოვილი იყო საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებული ტრენინგების ჩამონათვალი და ეს ჩამონათვალიც საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ მისთვის. ბოლო რეკომენდაცია, რომელიც საერთოა ორივე პროგრამისათვის, არის სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა, რომელიც პრაქტიკულად იმეორებდა პირველ რეკომენდაციას და ეხება კომპიუტერული აღჭურვილობის შეძენას, რაც ნამდვილად შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ხარისხის უზერუნველყოფის სამსახურის უფროს, ნინო ჟვანია, მიესალმა საბჭოს და მადლობა გადაუხადა ექსპერტს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ ისინი ეცადნენ, შეესრულებინათ ყველა რეკომენდაცია და დაესახათ ის ინტერვენცია, რომელსაც განახორციელებდენენ ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:26
დასრულების დრო: 15:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "ხელოვნებათმცოდნეობის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეექვსე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი;
საფეხური: ბაკალავრიატი;
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი;
სწავლების ენა: ქართული;
კრედიტების რაოდენობა: 240;

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა თამარ ტუფინაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ დოკუმენტაცის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ განსახილველი საკითხის ირგვლივ წარმოდგენილ აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას და საქმის მასალებს, წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა საქმის მასალებს სრულად

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტის პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა საკუთარი პოზიცია.
სხდომას არ ესწრებოდა ექსპერტი, რომელმაც შეისწავლა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში, თუმცა საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით დასკვნაში მკაფიოდ არის აღწერილი რეკომენდაციების შესრულებისათვის განხორციელებული ქმედებები. ექსპერტს ასევე აღნიშნული აქვს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეასრულა ყველა რეკომენდაცია. ამიტომ გადაწყვიტეს საკითხი განეხილათ მისი დასწრების გარეშე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
სხდომაზე დამსწრე წევრებმა განცხადეს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებთან დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:36

დასრულების დრო: 15:39

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] -ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნას მიღებული.

მეშვიდე საკითხი: "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 04 ნოემბრის №1425437 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

მერვე საკითხი: "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 16 დეკემბრის №1619284 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი;

მეცხრე საკითხი: “სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 22 აგვისტოს №930184 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ცენტრის თანამშრომელმა, ქეთევან ინანაშვილმა ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ვადებზე და საკანონმდებლო საფუძველზე. აღნიშნა, რომ ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739910 და №739908 ბრძანებებით დამტკიცებულია ,,2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების მიერ 2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის გავლის ეტაპები" და ,,2022–2028 წლებში ხელახალი აკრედიტაციის ვადების განსაზღვრის მიზნით, 2022 წლის 01 ივნისის მდგომარეობით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი", რომლის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის ვადები დამოკიდებულია "სწავლის სფეროების კლასიფიკატორის" სწავლის სფეროებზე.

აღნიშნულ ბრძანებებში ერთხელ უკვე განხორციელდა ცვლილება ჰუმანიტარული მეცნიერებების პროგრამების ვადების განსაზღვრის ნაწილში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზეც, ცენტრის ინიცირებით, კვლავ განხორციელდა მიზნობრივი ცვლილებები. კერძოდ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 და №1595814 ბრძანებების შესაბამისად, ცვლილებები შევიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 30 ივნისის №739910 და №739908 ბრძანებებში, რომლის თანახმად, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით გათვალისწინებული 011 განათლების ვიწრო სფეროს პროგრამებისთვის - 2025 წლის 01 სექტემბრით. აღნიშნული ინფორმაცია კომპეტენციის ფარგლებში ასახვისთვის ასევე გაეგზავნა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.
თუმცა, აღნიშნული ცვლილება მინისტრის ბრძანებით არ შეხებია 2022 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით 011 განათლების ვიწრო სფეროს კვალიფიკაციით აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებს, ანუ მას შემდეგ, რაც დამტკიცდა (№739910 და №739908) საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის ხელახალი აკრედიტაციის ეტაპები და საგანმანათლებლო პროგრამების ვადები. ამიტომ, ცენტრმა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან კოორდინაციის შედეგად, დამატებით მოახდინა იმ საგანმანათლებლო პროგრამების იდენტიფიცირება, რომლებსაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 1 ივნისის შემდეგ კლასტერის ვადით და რომელთა სწავლის სფეროები წარმოდგენილია 011 განათლების ვიწრო სფეროებში.
მიმდინარე ეტაპზე, ამ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ვადები რეესტრის ბაზის მიხედვით განსაზღვრულია შესაბამისად 2025 წლის 01 ივლისი. თუმცა, მინისტრის №739910 ბრძანებით განსაზღვრული ცვლილება ვადების ნაწილში, ასევე უნდა შეეხოს იმ პროგრამებსაც, რომელთაც აკრედიტაცია მიენიჭათ 2022 წლის 01 ივნისის შემდეგ. ამ პროგრამების აკრედიტაციის ვადის გახანგძლივებაზე უფლებამოსილია აკრედიტაციის საბჭო.
ქეთევან ინანაშვილმა სთხოვა საბჭოს წევრებს, ემსჯელათ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის გადაწყვეტილებებში ცვლილების განხორციელების თაობაზე და საჭიროების შემთხვევაში, შეეძლო შესაბამის კითხვებზე პასუხი.

საბჭოს წევრებს დამატებითი კითხები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 04 ნოემბრის №1425437 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 ბრძანების გათვალისწინებით, "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 04 ნოემბრის

№1425437 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართ №1-ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 16 დეკემბრის №1619284 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 ბრძანების გათვალისწინებით, "ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამისთვის (ქართული ენა და ლიტერატურა (დაწყებითი საფეხური), მათემატიკა (დაწყებითი საფეხური), ბუნებისმეტყველება (დაწყებითი საფეხური), გეოგრაფია (საბაზო და საშუალო საფეხური), სამოქალაქო განათლება (საბაზო და საშუალო საფეხური), ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 16 დეკემბრის №1619284 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართ №1-ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 22 აგვისტოს №930184 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 32^2 მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 10 დეკემბრის №1595816 ბრძანების გათვალისწინებით, "სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 22 აგვისტოს №930184 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების დანართ №1-ში შევიდეს ცვლილება და საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 01 სექტემბერი.

სხდომა დასრულდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 2025 წლის 13 თებერვალს 15:50 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ